SIR FITZROY MACLEAN – A BRTISH FRIEND OF GEORGIA

სერ ფიცროი მაკლეინი საქართველოს ბრიტანელი მეგობარი

GIORGI BUTSKHRIKIDZE

PhD student of history
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chavchavadze avenue 1, Tbilisi, Georgia.
ORCID: 0009-0005-2820-5635
giorgi.butskhrikidze464@hum.tsu.edu.ge
+995577394158

Abstract

Georgian-British relations encompass many fascinating aspects. In this regard, the sibling duo of Oliver and Marjorie Wardrop stand out as colourful figures. Another significant and distinguished personality in the history of Georgian-British relations is Sir Fitzroy Maclean—a politician, diplomat, military officer, and historian—who is also considered a prototype for Ian Fleming's famous character, James Bond.

Fitzroy Maclean's historiographical legacy covers various aspects of British history as he actively worked on key events of World War II and Russian history. Maclean's first encounter with Georgians occurred between 1934 and 1937 while working at the British Embassy in Paris. During this time, he met the renowned Mdivani family and even conducted a brief romantic relationship with one of its members, Rusudan (Rosy) Mdivani. In 1937, Maclean voluntarily transferred to the British Embassy in the Soviet Union. While in Moscow, he combined his diplomatic career with travel, exploring the Caucasus and Central Asia.

Fitzroy Maclean visited Georgia several times, first in 1937 and again in 1939. His observations and accounts serve as valuable historical sources, as foreign visitors faced significant restrictions on movement and communication within Soviet republics during the repressive 1930s. Maclean was one of the first British researchers to study Joseph Stalin's personality by delving into details of his childhood. He frequently visited Gori and other locations connected to Stalin's early life. During World War II, Fitzroy Maclean played an active role on the North African and Balkan fronts. He is also regarded as one of the founders of the renowned British special forces unit, the Special Air Service (SAS).

Keywords: Georgia; Great Britain; British-Georgian relations; Sir Fitzroy Maclean.

გიორგი ბუცხრიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის #1
ORCID: 0009-0005-2820-5635
giorgi.butskhrikidze464@hum.tsu.edu.ge
+995577394158

აბსტრაქტი

ქართულ-ბრიტანული ურთიერთობები მრავალ საინტერესო ასპექტს მოიცავს. ამ მხრივ კოლორიტულ ფიგურებად გვევლინებიან და-ძმა ოლივერ და მარჯორი უორდროპები. ქართულ-ბრიტანული ურთიერთობების ისტორიაში ასევე მნიშვნელოვანი და გამორჩეული პიროვნებაა სერ ფიცროი მაკლეინი - პოლიტიკოსი, დიპლომატი, სამხედრო პირი და ისტორიკოსი, რომელიც ასევე ითვლება იან ფლემინგის ცნობილი პერსონაჟის, ჯეიმს ბონდის, პროტოტიპად.

ფიცროი მაკლეინის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა მოიცავს დიდი ბრიტანეთის ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს. იგი ასევე აქტიურად მუშაობდა მეორე მსოფლიო ომისა და რუსეთის ისტორიის საკვანძო მოვლენებზე.

ფიცროი მაკლეინს ქართველებთან პირველი შეხება ჰქონდა 1934-1937 წლებში, პარიზში დიდი ბრიტანეთის საელჩოში მუშაობისას. მან გაიცნო მდივნების ცნობილი ოჯახი, მათ ერთ-ერთ წევრთან, რუსუდან (როზი) მდივანთან, მოკლეხნიანი ურთიერთობაც კი ჰქონდა.

1937 წელს ფიცროი მაკლეინი საკუთარი სურვილით გადავიდა სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის საელჩოში სამუშაოდ. მოსკოვში ყოფნისას ის დიპლომატის კარიერას უთავსებდა მოგზაურობას. ამ პერიოდში მან იმოგზაურა კავკასიასა და შუა აზიის რეგიონებში.

ფიცროი მაკლეინი რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს. პირველად 1937 წელს, ხოლო მეორედ - 1939 წელს. მისი ცნობები და დაკვირვებები საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ჩვენთვის, ვინაიდან XX საუკუნის 30-იან წლებში სსრ კავშირში მიმდინარე რეპრესიების ფონზე უცხოელებს განსაკუთრებით შეზღუდული ჰქონდათ გადაადგილება და კომუნიკაცია საბჭოთა რესპუბლიკებში.

ფიცროი მაკლეინი ერთ-ერთი პირველი ბრიტანელი მკვლევარი იყო, რომელმაც იოსებ სტალინის პიროვნების შესწავლა მისი ბავშვობის დეტალების გაცნობით გადაწყვიტა და ხშირად სტუმრობდა როგორც ქალაქ გორს, ისე სხვა ადგილებს, რომლებიც სტალინს უკავშირდებოდა.

ფიცროი მაკლეინი II მსოფლიო ომში აქტიურად მონაწილეობდა ჩრდილოეთ აფრიკისა და ბალკანეთის ფრონტებზე. ის ითვლება ასევე ცნობილი ბრიტანული დანაყოფის (“SAS”) ერთ-ერთ დამფუძნებლად. ომის შემდეგ დაწერა თავისი ცნობილი წიგნი “Eastern Approaches”, რომელშიც განსაკუთრებულ ადგილს უთმობს საქართველოს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; დიდი ბრიტანეთი; ბრიტანულ-ქართული ურთიერთობები; სერ ფიცროი მაკლეინი.

შესავალი

სერ ფიცროი მაკლეინი დაიბადა 1911 წლის 11 მარტს კაიროში, წარჩინებული შოტლანდიელი სამხედროს, მაიორ ჩარლზ მაკლეინის, ოჯახში. ფიცროის მამა ამ დროს მსახურობდა არმიაში და, შესაბამისად, ოჯახიც მასთან ერთად მოგზაურობდა (Mclyn, 1992, გვ.3). ფიცროი მაკლეინმა დაწყებითი განათლება ბრიტანეთში, ითონის კოლეჯში მიიღო, ხოლო უმაღლესი კი კებრიჯში, ქინგს კოლეჯში, სადაც ანტიკურ ისტორიას სწავლობდა. შემდეგ გერმანიაში განაგრძო დიპლომატიის შესწავლა. მოგვიანებით იწყებს ჯერ დიპლომატიურ და შემდეგ სამხედრო კარიერას.

II მსოფლიო ომის შემდეგ ფიცროი მაკლეინი წერს თავის პირველ ნაშრომს, ავტობიოგრაფიულ წიგნს "Eastern Approaches" (*„აღმოსავლური მიდგომები"*)(Maclean, 1949). შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი მოიცავს 1937-1939 წლებში სსრ კავშირში მის დიპლომატიურ საქმიანობას (ამ დროს მან იმოგზაურა კავკასიასა და შუა აზიის რეგიონებში, მეორე ნაწილი მოიცავს II მსოფლიო ომის პერიოდს და მის სამხედრო კარიერას ბრიტანეთის არმიასა და "SAS" (Special Air Servise)-ში მის მოღვაწეობას. აღნიშნული დანაყოფის ფორმირებაში მან დიდი წვლილი შეიტანა და თვითონ მონაწილეობდა აფრიკის კამპანიაში. წიგნის მესამე ნაწილი ეხება მის ურთიერთობას იოსიპ ბროზ ტიტოსა და იუგოსლავიელ პარტიზანებთან.

დიპლომატიური კარიერის პარალელურად, 1952 წლიდან იგი ინიშნება „ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის ასოციაციის ხელმძღვანელად". აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ ის თავის მეუღლესთან, ფოტოგრაფ და კინორეჟისორ ვერონიკა მაკლეინთან და მეგობრებთან ერთად, რამდენჯერმე სტუმრობდა საქართველოს.

ფიცროი მაკლეინი მრავალ საგაზეთო პუბლიკაციას აქვეყნებდა სსრ კავშირის შესახებ ისეთ ბრიტანულ გამოცემებში, როგორებიცაა:

The Scotsman, Country Life, Lincolnshire Echo, Liverpool Daily Post, Birmingham Mail და აშ. პუბლიკაციების დიდი ნაწილი ეძღვნება საქართველოს და მის ვიზიტებს ჩვენს ქვეყანაში.

1959 წელს ფიცროი მაკლეინმა ცნობილ რეჟისორთან, ჩარლზს ჰიუითთან, ერთად იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც.

აღსანიშნავია 1961 წლის ვიზიტი, როდესაც მათთან ერთად იყვნენ დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში, სერ ჰემფრი ტრეველიანი და მისი მეუღლე. სტუმრებმა მოინახულეს თბილისი და მცხეთა.

ფიცროი მაკლეინს მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძესთან, ასევე სახელმწიფო ცეკვის ანსამბლ „სუხიშვილებთან". იგი 1979 წელს, გლაზგოში ტურნეს დროს, თავის სასახლეში გაუმასპინძლდა „სუხიშვილების" ანსამბლს და ქართველ ხელოვანს.

1974 წელს კვლავ ეწვივნენ საქართველოს ფიცროი მაკლეინი და მისი მეუღლე. მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა ნაშრომში "To Caucasus: The End of all the Earth" *(„კავკასიისაკენ: დედამიწის დასასრული"*)(Maclean, 1976). ნაშრომის ნაწილი ეთმობა კავკასიის ისტორიას უძველესი დროიდან XX საუკუნის I ნახევრის ჩათვლით, ხოლო მეორე ნაწილში აღწერილია ავტორისა და მისი მეუღლის მორიგი სტუმრობა კავკასიაში. ნაშრომის 16 პარაგრაფი მოიცავს კავკასიისა და, განსაკუთრებით, საქართველოს ისტორიის საკვანძო მომენტებს. ფიცროი მაკლეინი ავლენს ისტორიული წყაროების ღრმა ცოდნასა და პროცესების ანალიზის უნარს. წიგნს დართული აქვს ვერონიკა მაკლეინის მიერ გადაღებული ფერადი

ფოტოები. ნაშრომში აშკარად ჩანს მისი დადებითი დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს მიმართ. აღნიშნული სტუმრობისას ისინი იყვნენ თბილისში, მცხეთაში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ბოლოს მთიულეთში.

1990 წლის სექტემბერში ფიცროი მაკლეინი კვლავ ეწვია საქართველოს მეგობრებთან ერთად. მათ მასპინძლობდა დიპლომატი და პუბლიცისტი გელა ჩარკვიანი, რომელსაც ფიცროი მაკლეინთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა და საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა მასზე. სტუმრებს შორის იყო ალექსანდრა ჰამილტონი, რომანოვთა საგვარეულოს შთამომავალი. მას და სხვა სტუმრებს გელა ჩარკვიანმა ლიკანში რომანოვების სასახლე დაათვალიერებინა. შემდეგ გაემგზავრნენ სვანეთში, რომელიც ფიცროი მაკლეინის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო.

ფიცროი მაკლეინი საქართველოს ბოლოს 1995 წლის ნოემბერში ესტუმრა დიდი ბრიტანეთის საელჩოს მოწვევით. ამ დროს ის შეხვდა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და გაანდო, რომ კიდევ ერთ წიგნზე მუშაობდა საქართველოს შესახებ. სამწუხაროდ, მისი დასრულება ვერ მოასწრო და 1996 წელს გარდაიცვალა.

ფიცროი მაკლეინის მოღვაწეობისა და საქართველოსთან ურთიერთობის საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანი წყაროა მისი მეუღლის, ვერონიკა ფრეიზერი-მაკლეინის მემუარები "Past Forgetting: A Memoir oF Heores, Adventure, Love and Life With Fitzroy Maclean"*(დავიწყებული წარსული: მოგონებები გმირებზე, თავგადასავლები, სიყვარული და ცხოვრება ფიცროი მაკლეინთან ერთად")*(Maclean, 2002). წიგნში ვერონიკა მაკლეინი საინტერესო ცნობებს გვაწვდის XX საუკუნის 60-70-იან წლებში ფიცროისთან ერთად საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ვერონიკა მაკლეინი იყო პროფესიონალი რეჟისორი და ფოტოგრაფი. მან საინტერესო ფოტომასალა შემოგვინახა აღნიშნული პერიოდის საქართველოს შესახებ.

ფიცროი მაკლეინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება ფრენკ მაკლინის ბიოგრაფიული წიგნი "Fitzroy Maclean"(ფიცროი მაკლეინი) (Mclyn, 1992). ნაშრომი შექმნილია ფიცროი მაკლეინთან პირად ინტერვიუებსა და სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. ავტორი საინტერესოდ გვიჩვენებს ფიცროი მაკლეინის მშფოთვარე და მრავალფეროვან ცხოვრებას, მათ შორის მის ვიზიტებს საქართველოში და მის დამოკიდებულებას ქართველების მიმართ.

ქართულ ენაზე ფიცროი მაკლეინის მოღვაწეობის შესახებ სამეცნიერო ნაშრომი არ გვაქვს. მისი მოღვაწეობისა და საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ საინტერესო ცნობები გვხდება, დიპლომატისა და პუბლიცისტის გელა ჩარკვიანის მოგონებებში: „ნაგერალა" (ჩარკვიანი, 2015) და „ნაცნობ ქიმერათა ფერხული" (ჩარკვიანი, 2016).

მეთოდები:

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგია. ისტორიული მოვლენების დროის დინამიკაში შესასწავლად მივმართეთ ისტორიზმის პრინციპს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ისტორიული მოვლენების განვითარებას მისი საწყისიდან და დავინახოთ მიმართება სხვა პროცესებთან. ვინაიდან ჩვენს ძირითად წყაროებს წარმოადგენდა მემუარული ლიტერატურა, რომელსაც ახასიათებს სუბიექტურობა, ისტორიული პროცესებისა და ფაქტების შესაჯერებლად მივმართეთ

სამეცნიერო ლიტერატურას, პრესის მასალებსა და საარქივო დოკუმენტებს.

შედეგები:

წარმოდგენილ ნაშრომში განვიხილეთ ცნობილი ბრიტანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, სერ ფიცროი მაკლეინის მოღვაწეობის მრავალფეროვანი ასპექტებიდან ერთ-ერთი, მის ურთიერთობა საქართველოსთან. განვიხილეთ მისი შრომები, რომლებიც ეხება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდს და ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მის თვალით დანახულ საბჭოთა საქართველოს. ფიცროი მაკლეინი, როგორც საქართველოსა და ქართველების დიდი მოყვარული, ხშირად სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას, მოგზაურობდა როგორც ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად, ასევე ხვდებოდა საზოგადოების სხვადასხვა წევრებს. ის დასავლეთში პოპულარიზაციას უწევდა ჩვენს ქვეყანას, აქვეყნებდა პუბლიკაციებს და ფოტომასალას. ისტორიული პროცესების შეფასების დროს მკითხველს სთავაზობდა საინტერესო და ამასთანავე ღრმა სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებულ მოსაზრებებს.

მსჯელობა:

1933 წლიდან ფიცროი მაკლეინი მუშაობას იწყებს საფრანგეთში დიდი ბრიტანეთის საელჩოში. ფიცრო მაკლეინს ახლო ურთიერთობა ჰქონდა პარიზში მცხოვრებ რუს ემიგრანტებთან და სწორედ მათ წრეში შეხვდა პირველად ქართველებს. როგორც მისი ბიოგრაფი, ფრენკ მაკლინი, აღნიშნავს: *„ფიცროის თავიდანვე განსაკუთრებით თბილი გრძნობები ჰქონდა ქართველების მიმართ. მხიარულად იხსენებდა მათ არისტოკრატულ პრეტენზიებს და ამბობდა პირველ მსოფლიო ომამდე ყოველი მეშვიდე ქართველი პრინცი ან პრინცესა იყო (იგულისხმება თავად-აზნაურობა - გ.ბ.)“* (Mclyn, 1992, გვ. 22). მისივე შენიშვნით, სწორედ აქ შეხვდა ფიცროი მისი ცხოვრების პირველ დიდ სიყვარულს, რუსუდან (რუსი) მდივანს (Mclyn, 1992, გვ. 22). რუსი და ფიცროი მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. რუსიმ მას თავის ოჯახიც გააცნო, თუმცა ფიცრო მალე მიხვდა რუსის მერკანტილურ დამოკიდებულებას, რომ მისი მიზანი მხოლოდ: *„მისი და-ძმების მდიდარ ოჯახებზე დაქორწინება იყო*” (Mclyn, 1992, გვ.:23). მათი ურთიერთობა მალე დასრულდა.

1924 წლის 1 თებერვალს დიდმა ბრიტანეთმა აღიარა სსრ კავშირი და მალევე მასთან სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობაც დაამყარა. 1934-1937 წლებში ფიცრო მაკლეინი პარიზში, ბრიტანეთის საელჩოში მუშაობდა. როგორც მისი მოგონებებიდან ჩანს მოახლოებული ომის საშიშროება უკვე იგრძნობოდა ევროპაში, გერმანიის გაძლიერებასთან ერთად: *„საფრანგეთში ბევრს უჩნდებოდა კითხვა, შეიძლებოდა თუ არა ჰქონოდათ მათ რუსეთის (სსრ კავშირი-გ,ბ) დახმარების იმედი მომავალ დაპირისპირებაში და როგორი იქნება ეს დახმარება“* (Maclean, 1949, გვ.15). 1924 წლის 1 თებერვალს დიდმა ბრიტანეთმა აღიარა სსრ კავშირი და მალევე მასთან სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობაც დაამყარა.

მიუხედავად იმისა, რომ პარიზში მუშაობას გართობასაც უთავსებდა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, მისთვის პარიზში ყოფნა მაინც რუტინული სამუშაო იყო და *„მოითხოვა მოსკოვში, ბრიტანეთის საელჩოში გადასვლა“* (Maclean, 1949, გვ. 26). მისი ნაბიჯი ყველას გაუკვირდა, რადგან *„მოსკოვში მუშაობა მიიჩნეოდა, ყველაზე ღარიბულ სამსახურად, მძიმე პირობების გამო, მაგალითად, მოსკოვში, ბრიტანეთის საელჩოში, ამ დროს არცერთი ქალი არ*

მუშაობდა“ (Maclean, 1949, გვ. 26). ის დანიშნეს მოსკოვში დიდი ბრიტანეთის საელჩოში მდივნის თანამდებობაზე: *„ამ დროს მოსკოვში ბრიტანეთის საელჩოს მთავარი მიზანი გერმანიასთან მომავალ ომში, შესაძლო საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის საკითხი იყო“* (Dooley, 2014, გვ. 32).

როგორც იგონებს, საგარეო საქმეთა სამინისტროში ყველას გაუკვირდა მისი მოთხოვნა, რადგან აქამდე არავის გამოუხატავს სურვილი სსრ კავშირში ემუშავა საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე (Maclean, 1949, გვ. 17). მისი ზოგადი ცოდნა საბჭოთა კავშირის შესახებ შემოიფარგლებოდა სამეცნიერო ლიტერატურით, რუსი ემიგრანტებითა და საბჭოთა ფილმებით (Maclean, 1949, გვ.17). ასევე მას განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა შუა აზიის მიმართ: *„სადაც ოცი წელია არ ყოფილა უცხოელი მოგზაური, რეგიონი ჩაკეტილი იყო იმპერიის ეპოქაშიც და ახლაც გამორიცხული იქ მოგზაურობა განსაკუთრებით ბრიტანელი ოფიციალური პირისათვის“* (Maclean, 1949, გვ. 17). საინტერესოა მისი პირველი შთაბეჭდილებები სსრ კავშირის საზღვრის გადმოლახვისას: *„სწორედ მაშინ ვიგრძენი პირველად სუნი, რომელიც მომდევნო ორწელნახევარი მუდამ თან დამსდევდა. როგორც ადრინდელი მოგზაურები წერდნენ ეს იყო „რუსული სუნი“: შავი პურის, არყის, ცხვრის ტყავისა და ჭუჭყიანი ტანსაცმლის. ამას დამატებული ბენზინის, სადეზინფექციო საშუალებებისა და საპნის არომატები. ქმნიდნენ ოდნავ მომჟავო არომატს რომელიც ასდიოდა მთელ ქვეყანას. ეს არომატი მომდევნო წლებშიც ვიგრძენი საზღვარგარეთ მყოფ რუსებთან და მე მაბრუნებდა ძველ მოგონებებში*"(Maclean, 1949, გვ. 19).

როგორც უცხოელი დიპლომატი, ის გამუდმებით იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაკვირვების ქვეშ და, როგორც თვითონ აღნიშნავს: *„მოსკოვში ყველაფერი სხვანაირად იყო. ურთიერთობა გვქონდა მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელთან, რომელთაც ჩვენთან კონტაქტი აშინებდათ. ჩვენ პრაქტიკულად არანაირი ურთიერთობა არ გვქონდა ჩვეულებრივ მოქალაქეებთან, რადგან საბჭოთა მოქალაქისათვის სამსახურეობრივი ურთიერთობაც კი საშიში იყო უცხოელთან. ყველაფერს აკონტროლებდა „ენ კა ვე დე“*(Maclean, 1949, გვ.22). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიცროი მაკლეინი სსრ კავშირში ჩავიდა 1937 წელს, როდესაც სტალინურმა რეპრესიებმა პიკს მიაღწია და თვალს ადევნებდა მიმდინარე პროცესებს. მათ შორის ნიკოლაი ბუხარინის, მიხაილ ტუხაჩევსკისა და სხვათა სასამართლო პროცესებს. საბჭოთა კავშირში ყოფნის რამდენიმე თვე მან შემდეგნაირად შეაჯამა: *„მოსკოვში ყოფნისას, ისეთ იზოლირებულ პირობებშიც კი, როგორშიც ჩვენ ვიყავით, რამდენიმე თვეში გავიგე იმაზე მეტი საბჭოთა კავშირის შესახებ, ვიდრე შევიტყობდი ყველა იმ წიგნის წაკითხვით, რომელიც კი დაწერილა ამ საკითხზე“*(Maclean, 1949, გვ. 29).

ფიცროიმ სსრ კავშირში ორი წელი გაატარა (1937-1939 წწ.) ამ პერიოდში მიღებული შთაბეჭდილებები აღწერა ცნობილ ავტობიოგრაფიულ ნაშრომი, "Eastern Approaches" (აღმოსავლური მიდგომები). პირველად მას გადაწყვეტილი ჰქონდა შუა აზიის მონახულება, რომელიც უცხოელებისთვის დახურული რეგიონი იყო. სწორედ იქ ასახლებდნენ რეპრესირებულ პირებს. მას უარი უთხრეს მატარებლის ბილეთის შეძენაზე, მოსკოვი-ტაშკენტის მიმართულებით, რადგან მას განსაკუთრებული ნებართვა სჭირდებოდა. ასევე, მისი შენიშვნით, საფრთხის შემცველი იყო მეორე მარშრუტი - ციმბირი-ნოვოსიბირსკი, რადგანაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები ყველას ამოწმებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა ბაქოში წასულიყო და იქიდან კასპიისპირეთის რკინგზით, შუა აზიაში გამგზავრებულიყო, რომელიც ლეგალური მარშრუტი იყო (Maclean, 1949, გვ. 30). ბაქოში მან მოინახულა ინგლისელ ჯარისკაცთა საფლავები, რომლებიც ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაიღუპნენ და ასევე ბრიტანელი ჯარისკაცების მიერ დახვრეტილი „26 ბაქოელი კომისრის

მონუმენტი“. მისივე შენიშვნით, კავკასიაში ბევრს ახსოვდა ბრიტანული ოკუპაციის წლები (Maclean, 1949, გვ. 34). ბაქოში ადგილობრივ სასტუმროში მას ურჩიეს, რომ შუა აზიაში გამგზავრებისგან თავი შეეკავებინა, რადგან ის დახურული ზონა და იყო და ეპიდემიები იყო გავრცელებული (Maclean 1949, გვ. 35). ადგილობრივ გაზეთში მან ამოიკითხა ცნობა, ლენქორანის რაიონში მიმდინარე საინტერესო სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ. გადაწყვიტა, თვითონაც გასცნობოდა რაიონს, რომელიც სპარსეთის საზღვართან ახლოს მდებარეობდა. ვიდრე ბაქოს დატოვებდა, ის შეესწრო რეპრესირებული კულაკების გადასახლების პროცესს შუა აზიაში (Maclean, 1949, გვ. 35).

ლენქორანში მოგზაურობისას, „შინსახკომის“ ადგილობრივმა მილიციამ ფიცროი მაკლეინი და მისი გამყოლები დააკავა და აუკრძალა უფრო შორს გადაადგილება, რადგან ახლოს იყვნენ სპარსეთის საზღვართან (Maclean, 1949, გვ.43). წაიყვანეს შტაბში, რადგან რუსულ ენაზე შედგენილი დოკუმენტებისა და მისი დიპლომატიური პასპორტის მონაცემების წაკითხვა ვერ შეძლეს. როგორც იხსენებს, რუსული ენა მათზე უკეთ იცოდა, ხოლო ვითარების გამორკვევის შემდეგ ბოდიში მოუხადეს. საბოლოოდ გადაწყვიტა კავკასიის გავლით დაბრუნებულიყო მოსკოვში (Maclean ,1949, გვ. 45).

ფიცროი მაკლეინი საქართველოში 1937 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა ბაქოდან თბილისამდე მატარებლით იმგზავრა. თბილისს შემდეგნაირად აღწერს: *„ტფილისს აქვს სამხრეთული ხიბლი და შთაბეჭდილების მოხდენის უნარი. ეს საუკეთესო ადგილია დასასვენებლად, ასეთი საბჭოთა კავშირში ჯერ არ მინახავს. ძველ ქალაქში ვერანდები და აივნები ჩიტის ბუდესავით არის მიკრული სახლებზე“* (Maclean, 1949, გვ. 45) თბილისში ყოფნისას დაბინავდა სასტუმრო „გრანდ ოტელში“, რომელიც მაშინ მაღალი კლასის სასტუმროდ ითვლებოდა. აღნიშნავს, რომ დასაბინავებლად ადგილი შემთხვევით არ შეურჩევია, რადგან *„ორმოცდაათი თუ სამოცი წლის წინ ამ სასტუმროში ბაბუაჩემიც (ალან ჰენრი მაკლეინი-გ.ბ.) იყო. სასტუმრო იყო საბჭოთა სტანდარტების, კარგი საკვებითა და სარდაფში გემრიელი ღვინით. მენეჯერი ეროვნებით სლოვენიელი იყო. იგი 1916 წელს (I მსოფლიო ომის დროს-გ.ბ) დაატყვევეს რუსებმა, როგორც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ჯარისკაცი. რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკებმა გაათავისუფლეს, მაგრამ დარჩენა ისურვა. ხოლო ახლა ცოტა სევდიანად მითხრა, რომ უკვე საბჭოთა კავშირის მოქალაქეა და სურვილის შემთხვევაში გაუჭირდებოდა ქვეყნის დატოვება“*(Maclean, 1949, გვ. 45).

საინტერესოა ქართველების მისეული დახასიათება: *„ისინი სამხრეთელები და ღვინის მოყვარულები არიან, მთიელები და მებრძოლები. მათში ერთმანეთს ერწყმის ხმელთაშუა ზღვის ხალხის მხიარულება და სიცოცხლის სიყვარული, შოტლანდიელი მთიელების შემართება და გამბედაობა“*(Maclean, 1949, გვ. 45).

მან გადაწყვიტა, რომ თბილისი მოენახულებინა და მოეძებნა ბრიტანელ ჯარისკაცთა საფლავები. ამისათვის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ წარმომადგენლობაში მივიდა. აქ იგი შეხვდა საბჭოთა კავშირის ყოფილ ელჩს ავღანეთში, ლეონიდ სტარკს, რომელიც ამ დროს თბილისში მუშაობდა. როგორც ფიცროი მაკლეინი იხსენებს, ავღანეთში მუშაობის დროს სტარკი *„ებრძოდა ბრიტანეთის ინტერესებს და ინდოეთში ანტიბრიტანული აჯანყებების ორგანიზებას ახდენდა“* (Maclean, 194, გვ.47) მაკლეინს განუცხადეს, რომ არ იცოდნენ ბრიტანელ ჯარისკაცთა საფლავების მდებარეობა.

ფიცროი მაკლეინმა ამის შემდეგ თბილისის ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა ორგანოებს მიმართა, მაგრამ ვერც ისინი დაეხმარნენ, თუმცა მაკლეინს მიამაგრეს ახალგაზრდა გოგონა თამარი, რომელიც მას ეხმარებოდა ქალაქის დათვალიერებაში. ისინი ერთად იყვნენ კინოში ფილმის სანახავად (Maclean, 1949, გვ. 49). თამარმა ურჩია, რომ მიემართა შინაგან

საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის, სადაც განუმარტეს, რომ ერთადერთი, ვისაც შეიძლება სცოდნოდა ბრიტანელ ჯარისკაცთა საფლავების ადგილმდებარეობა, იყო მის ფილოუსი, ბრიტანელი გუვერნანტი, რომელიც წლებია თბილისში ცხოვრობდა.

მის ფილოუსმა უამბო, რომ ის დაიბადა ინდოეთში, არმიის პოლკოვნიკის ოჯახში. 1912 წელს ჩამოვიდა საქართველოში, მდიდარი ქართველის ოჯახში, როგორც გუვერნანტი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგ ის თბილისში დარჩა იმ ოჯახში, სადაც მუშაობდა (Maclean, 1949, გვ. 49). ასევე, რომ *„არასოდეს უნახავს ინგლისი. მე ვიყავი პირველი ინგლისელი, რომელსაც წლების შემდეგ ხედავდა“* (Maclean, 1949, გვ. 50). მის ფილოუსმა მოუთხრო ისიც, რომ *„იმ ოჯახს, სადაც მუშაობდა, სახლი ჩამოართვეს და მხოლოდ ორი ოთახი დაუტოვეს“* (Maclean, 1949, გვ. 50). ფიცროი მაკლეინის კითხვაზე, იცოდა თუ არა სასაფლაოს მდებარეობა, უპასუხა: *„რა თქმა უნდა, ვიცი სად არის. მე ვზრუნავ მათზე ბოლო ოცი წელია, მას შემდეგ, რაც ჩვენი ჯარები წავიდნენ“* (Maclean, 1949, გვ.50).

ბრიტანელ ჯარისკაცთა საფალვების მონახულების შემდეგ ფიცროიმ ჰკითხა მის ფილოუსს, სჭირდებოდა თუ არა მას რაიმე დახმარება : *„მან მთხოვა ორი რამ, რამდენიმე ინგლისური წიგნი და დახმარება, რომ სასაფლაოს ირგვლივ კედლები აგვეგო“*(Maclean, 1949, გვ. 50). აღნიშნული შეხვედრის შემდეგ ფიცრო მაკლეინმა დატოვა საქართველო და სამხედრო გზით გაემგზავრა რუსეთში. მგზავრობისას საინტერესოდ აღწერა გარემო და განვლილი გზა: *„ფასანაურში უღელტეხილის ზევით შევჩერდით საჭმელად - საკვები იყო გასაოცრად გემრიელი. ახლად დაჭერილი კალმახი, ცხვრის ხორცის მწვადი და წითელი ღვინო. გზა უფრო და უფრო რთული ხდებოდა, ჩვენს მაღლა დასავლეთით ჩანდა ყაზბეგის მთა, მარადიული თოვლით დაფარული უზარმაზარი მწვერვალი“* (Maclean, 1949, გვ. 51). თავისი პირველი მოგზაურობა შემდეგნაირად შეაჯამა: *„ჩემი მოგზაურობა დასრულდა მიუხედავად იმისა, რომ შუა აზიაში ვერ გავემგზავრე. პირველად ვეწვიე აღმოსავლეთის ხალხებს (მისთვის, როგორც ევროპელისათვის, საქართველო აღმოსავლეთი იყო-გ.ბ.) ვიცხოვრე მათ შორის, რაც ჩემთვის სასარგებლო გამოცდილება იყო და მომავალშიც გამოვიყენე“*(Maclean, 1949, გვ. 51).

ფიცროი მაკლეინი ერთ-ერთი პირველი ბრიტანელი მკვლევარი იყო, რომელმაც იოსებ სტალინის ცხოვრების ადრეული წლების შესწავლა დაიწყო (Maclean, 1949, გვ. 46-48). ის მომდევნო მოგზაურობების დროს ხშირად სტუმრობდა ქალაქ გორს. ამავე წიგნში მკითხველს აწვდის ინფორმაციას საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების შესახებ (Maclean, 1949, გვ. 46).

აღნიშნული მოგზაურობის შესახებ მან სპეციალური მოხსენება მოამზადა საელჩოსათვის, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ კონფიდენციალურად გადაგზავნეს ლონდონში და აღნიშნეს, რომ მისი შედგენილი მოხსენება მათთვის განსაკუთრებული ინფორმაციის შემცველი იყო (Maclean, 1949, გვ. 54).

მოსკოვში დაბრუნების შემდეგ მან კვლავ გადაწყვიტა შუა აზიაში გამგზავრება. ამჯერად შეცვალა ტაქტიკა: *„ჩემი გეგმა იყო ამელო ბილეთი ტრანსციმბირულ ექსპრესზე და შემდეგ ციმბირში წავსულიყავი. გაუფრთხილებლად დავტოვე მატარებელი და სამხრეთით გავეგზავრე. ეს, ჩემი ვარაუდით, უჩვეულო გასართობი იქნებოდა. მთავარ საშიშროებას წარმოადგენდა ის, რომ მატარებლიდან ჩამოსვლისას არ დავეკავებინე და მოსკოვში არ დავებრუნებინე“* (Maclean 1949, გვ. 56). აღნიშნულმა მოგზაურობამ მშვიდობიანად ჩაიარა, მან შეძლო შუა აზიის რესპუბლიკების მონახულება, რომელთაც მომავალშიც არაერთხელ დაუბრუნდა.

1939 წლის გაზაფხულზე ფიცროიმ მოაწყო კიდევ ერთი დიდი მოგზაურობა - შუა აზიიდან გადავიდა ინდოეთში, შემდეგ გაემგზავრა ერაყსა და სპარსეთში. ბოლოს კი

გადმოლახა საბჭოთა კავშირის საზღვარი სომხეთის ტერიტორიაზე, საიდანაც „ენკავედეს“ თანამშრომლებმა გამოაცილეს საქართველოში. ერევნიდან თბილისამდე მატარებლით იმგზავრა, შემდეგ ჩავიდა ბათუმში, რადგან *„ვიმედოვნებდი, რომ ვიპოვიდი გემს, რომელიც სოჭში წამიყვანდა, საბჭოთა პრივილეგირებული კლასების მთავარ ზღვისპირა კურორტზე“* (Maclean, 1949, გვ. 174). შტორმის გამო ვერ მოახერხა სოჭში გამგზავრება, მაგრამ დაათვალიერა ბათუმი და მის გარშემო ტერიტორია.

ფიცროი მაკლეინმა საინტერესოდ აღწერა აჭარა: *„ერევნიდან მგზავრობის მეორე დღეს, დავტოვეთ სამხრეთ კავკასიის უნაყოფო ველები. აღმოვჩნდი, ფორთოხლის კორომებში, ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებში, რომლებშიც მშრომელი კაცები და ცელქი ბავშვები მუშაობდნენ“* (Maclean, 1949, გვ. 174-175).

ბათუმში ყოფნისას ეწვია როტშილდების ყოფილ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას, *„რომლის კედელზეც დიდი მოზაიკა და მარმარილოს დაფა დამხვდა, იოსებ სტალინის საპატივსაცემოდ, რომელმაც 1903 წელს მუშათა დიდი გაფიცვა მოაწყო“*(Maclean 1949, გვ.176). სასტუმროს შემდეგნაირად ახასიათებს: *„ვფიქრობ, რომ მზარეულის მიერ მომზადებული ბიფსტროგანოვი საუკეთესო იყო. ზოგადად აქ ყველაზე გემრიელი საკვები ჰქონდათ, რაც საბჭოთა კავშირში გამისინჯავს“*(Maclean 1949, გვ.176). სასტუმროში ის შეხვდა უკრაინელ და სომეხ კოლმეურნეებს, რომლებიც შემდეგ გორში გაემგზავრნენ და *„როგორც გაზეთში წავიკითხე, სტალინს განსაკუთრებულად აღმაფრთოვანებელი დეპეშა გაუგზავნეს“* (Maclean, 1949, გვ. 176).

შემდეგ ისევ გაემგზავრა თბილისში, სადაც იგი 18 თვით ადრე იყო პირველად. გარდა ახალი შენობებისა, მას ქალაქში ზოგადად სიტუაციაც შეცვლილი ეჩვენა, უფრო გამკაცრებული ზოგადი მდგომარეობა. თბილისში ყოფნის დროს, როგორც თვითონ აღნიშნავს, სრულიად შემთხვევით აკრძალულ ზონაში შევიდა, სადაც „შინსახკომის“ ბრძანებით დააკავეს. ვითარების გარკვევამდე, როგორც იხსენებს, *„დრო ადგილობრივ ოფიცრებთან მარქსიზმსა და საერთაშორისო ვითარების შესახებ საუბრით გავიყვანე“*(Maclean 1949, 176). მისი საბუთების შემოწმების შემდეგ გაუშვეს, მეორე დღეს ფიცროი მაკლეინი მოსკოვში გაემგზავრა კვლავ საქართველოს სამხედრო გზით.

ფიცროი მაკლეინი 1959-1970 წლებში იყო „ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის“ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1977-1987 წლებში ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელი (http://www.bewc.org/en/history_en.php)

აღნიშნული ორგანიზაცია 1924 წლიდან, ანუ ბრიტანეთის მიერ სსრ კავშირის აღიარებიდან, ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის სხვა ორგანიზაციების („ბრიტანეთ-საბჭოთა მეგობრობის ორგანიზაცია“, სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობების საზოგადოება“ და სხვ.) მემკვიდრე იყო. 1952 წელს აღნიშნული ორგანიზაციის წევრები სსრ კავშირში სტუმრობის დროს ეწვივნენ თბილისსაც. იყვნენ თბილისის ბალნეოლოგიურ ინსტიტუტში, თბილისის პიონერთა სასახლეში, მოინახულეს კულტურისა და დასვენების პარკი. დაათვალიერეს სსრ კავშირის მუდმივი სამშენებლო გამოფენა ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობაში, სადაც შეხვდნენ „სოციალისტური შრომის გმირებს“, ყუფენიასა და მაქაცარიას. ისინი იყვნენ ასევე გორში, ი. სტალინის სახლ-მუზეუმშიც. (Birminham Mail 1952, გვ. 5).

აღნიშნული ორგანიზაციის ფარგლებში მას ახლო კავშირები ჰქონდა კვლავ სსრ კავშირთან, რაც უმარტივებდა მოგზაურობას. აღნიშნული თანამდებობის და პირადი კონტაქტების გამოყენებით ფიცროი მაკლეინმა 1959 წელს ცნობილ ინგლისელ რეჟისორთან და ფოტოგრაფთან, ჩარლზ (სლიმ) ჰიუიტთან ერთად იმოგზაურა შუა აზიაში - სამარყანდსა

და ბუხარაში. 1959 წელს *„მათ ასევე ერთად გადაიღეს ფილმი საქართველოს შესახებ, ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისი პირველი სტუმრობა საქართველოში“*(Mclyn 1992, გვ. 332).

საინტერესოა მისი 1961 წლის ვიზიტი საქართველოში. ფიცროი მაკლეინს თან ახლდა მეუღლე, ვერონიკა, ასევე სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის ელჩი სერ ჰემფრი ტრეველიანი და მისი მეუღლე ვიოლეტა და საელჩოს რამდენიმე თანამშრომელი. აღნიშნული მოგზაურობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ვერონიკა მაკლეინის მოგონებები: *„კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ საქართველოს, სადაც ხშირად ვბრუნდებით. ჩემთვის ეს არ იყო მხოლოდ მხიარულება. ეს იყო თბილი ადამიანები და მათი სტუმართმოყვარეობა, უძველესი ისტორია, წარსულის ძეგლები. მე გადავიღე უამრავი ფოტო ფიცროის მომავალი წიგნისათვის“* (Maclean 2002, გვ. 301). სტუმრები „ინტურისტში“ დაბინავდნენ, საიდანაც მცხეთაში გაემზავრნენ, ჯვრის მონასტრის სანახავად: *„ჯვარი ფიცროის ერთ-ერთი საყვარელი ეკლესიაა, რომლის გადაღებაც ძალიან მოსწონდა. ის დგას გორაკის მწვერვალზე და ქართული არქიტექტურული გენიის მაგალითია”* (Maclean 2002, გვ. 303). ვერონიკამ შესანიშნავად იცოდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული ისტორია, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, განსაკუთრებით გაოცებული იყო ჰემფრი ტრეველიანის და მისი მეუღლის მიერ საქართველოს ისტორიის ცოდნით (Maclean 2002, გვ. 302).

მაკლეინების ოჯახი საქართველოში განსაკუთრებით მეგობრობდა სუხიშვილების ანსამბლთან და რობერტ სტურუასთან, რომლებმაც *„სამეფო მასპინძლობა მოგვიწყვეს, ისინი სტუმართმოყვარეობით არიან ცნობილი“* (Maclean 2002, გვ. 304). ფიცროიმ ქართველებს განსაკუთრებული მასპინძლობისათვის მადლობა იმით გადაუხადა, რომ 1979 წელს გლაზგოში, ქართული კულტურის დღეებზე ყოფნისას *„რობერტ სტურუა, რამაზ ჩხიკვაძე და სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი, ორი ავტობუსით, ჩვენთან მოვიწვიეთ სტუმრად. რამაზმა და ფიცროიმ პიკნიკის დროს მდინარეშიც გაცურეს“*(Maclean 2002, გვ.304).

ფიცროი მაკლეინი მეუღლესთან ერთად საქართველოს 1974 წელსაც ეწვია. აღნიშნული მოგზაურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან ამ დროს შეაგროვა მასალების ნაწილი მომავალი წიგნისათვის “To Caucasus: The End of all the Earth“ („კავკასიისაკენ: დედამიწის დასასრული“). ნაშრომის ნაწილი ეთმობა კავკასიის ისტორიას უძველესი დროიდან XX საუკუნის I ნახევრის ჩათვლით, ხოლო მეორე ნაწილში აღწერილია ავტორისა და მისი მეუღლის მორიგი სტუმრობა კავკასიაში. ნაშრომი მოიცავს 16 პარაგრაფს, აღწერს კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის საკვანძო ეპიზოდებს. ფიცრო მაკლეინი ავლენს ისტორიული წყაროების ღრმა ცოდნასა და პროცესების ანალიზის უნარს. წიგნის დართული აქვს ვერონიკა მაკლეინის მიერ გადაღებული ფერადი ფოტოები, როგორც ისტორიული ძეგლების, ასევე უბრალო მოქალაქეების. ნაშრომში აშკარად ჩანს მისი დადებითი დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ჟანრისაა. ინგლისურენოვანი მკითხველისათვის აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან გზამკვლევს წარმოადგენდა, როგორც ანტიკური და შუა საუკუნეების საქართველოს, ისე მეოცე საუკუნის პირველი 70-იანი წლების ჩათვლით საქართველოს შესასწავლად.

აღნიშნული მოგზაურობა საკმაოდ დატვირთული იყო: მათ მოიარეს საქართველოს კუთხეები, აღწერეს ისტორიული ძეგლები და ხვდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. თბილისში ყოფნისას მოინახულეს ძველი უბნები და მოინახულეს სუხიშვილების ანსამბლი (Maclean 1976, გვ.128-131). ფიცროი აქვე განიხილავს 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს (Maclean 1976, 131). ასევე მოინახულეს ეროვნული გალერეა და მთაწმინდის პანთეონი (Maclean 1976, გვ.132-133). თბილისიდან გაემგზავრნენ კახეთში, სადაც წინანდალში ჭავჭავაძეების მამული

მოინახულეს. იგი მკითხველს საინტერესო ცნობებს აწვდის ალექსანდრე ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და მისი ოჯახის როლის შესახებ ქართული კულტურის განვითარებაში (Maclean 1976, გვ.137-138). წინანდლის შემდეგ მოინახულეს თელავი და ერეკლე II-ის სასახლე, იყალთო და ალავერდი. იგი დეტალურად აღწერს თითოეულ ძეგლს. ასევე საინტერესოდ განიხილავს ქართულ სუფრასა და თამადის ფენომენს (Maclean 1976, გვ. 139-140).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფიცროი მაკლეინი ბრიტანელ მკვლევართაგან ყველაზე ადრე დაინტერესდა სტალინის ბავშვობით და ხშირად სტუმრობდა გორს. ამ მოგზაურობის დროსაც ეწვინენ გორს, მოინახულეს: სტალინის სახლ-მუზეუმი, გორის ციხე და ატენის სიონი (Maclean 1976, გვ.140-141). სამხრეთ საქართველოში მოინახულეს ახალციხე და ვარძია (Maclean 1976, გვ.141-143). განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქუთაისის მიმართ, სადაც ბაგრატის ტაძარი, გელათი და ადგილობრივი მუზეუმი დაათვალიერეს. ასევე მნიშვნელოვან ცნობებს აწვდის მკითხველს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შესახებ (Maclean 1976,143-145). მოგზაურობის დასრულების შემდეგ მოსკოვში კვლავ სახმელეთო გზით გაეგზავრნენ, გზად მცხეთაც მოინახულეს. ფიცროის საქართველოს მთიანეთი და სამხედრო გზა განსაკუთრებით მოსწონდა და როგორც წინა მოგზაურობებიდან, ახლაც საინტერესოდ აღწერა გარემო და ხალხი (Maclean 1976, გვ.148-149).

1990 წლის სექტემბერში ფიცროი მაკლეინი, მისი მეუღლე ვერონიკა თავიანთ მეგობრებთან (ლოურენს კელი, მეუღლეთან ერთად, ასევე ალექსანდრა ჰამილტონი და მისი დედა ჯინა, რომელიც რომანოვთა დინასტიის შთამომავალი იყო) ერთად, სტუმრობდნენ საქართველოს (Maclean 2002, გვ.352). მათ უმასპინძლა გელა ჩარკვიანმა, რომელიც მემუარებში, „ნაცნობ ქიმერათა ფერხული“, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აღნიშნული მოგზაურობის შესახებ.

გელა ჩარკვიანმა თავის ვაჟთან, ირაკლისთან და მეგობრებთან, ოთარ წერეთელთან და გივი ხომერიკთან, ერთად წაიყვანა სტუმრების სვანეთში: *„იმავე წლის (1990 წლის-გ.ბ.) სექტემბერში ფიცროი მაკლეინს ნატვრა ავუსრულე - მის რამდენიმე მეგობართან ერთად სვანეთში წავიყვანე. იქამდე ბევრჯერ ეცადა, მაგრამ არ უშვებდნენ. ვფიქრობ, ეს უფრო შურისძიება იყო ტიტოს გადაბირებაში მისი როლის გამო, ვიდრე უსაფრთხოების მოსაზრებით ნაკარნახევი პოზიცია. ირაკლიმ ჩვენი მოგზაურობა ძალიან კარგად აღწერა თავის მცირე ინგლისურენოვან პოემა-სადღეგრძელოში The Svan's Way, რომლის სათაური პრუსტის რომანის პირველ ნაწილთან გაათამაშა. უშგულმა სტუმრებიც და მასპინძლებიც აღგვაფრთოვანა. ლატალში ჩარკვიანებმა დიდი სუფრა გაგვიწყვეს და მე ვითამადე. ამ წვეულებას ფიცროიმ რამდენიმე აბზაცი მიუძღვნა Sunday Times-ში გამოქვეყნებულ წერილში, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ფიცროიმ, როგორც შეეფერებოდა ჯეიმზ ბონდის პროტოტიპს, ერთი დამაინტრიგებელი ეპიზოდი გვაჩუქა. როცა სვანეთს ვტოვებდით, მან სთხოვა მძღოლს გაჩერებულიყო, ავტობუსიდან ჩავიდა და გზისპირა ხევში გაუჩინარდა. დაბრუნება რომ შეაგვიანდა, ალექსანდრამ გადაწყვიტა გაეგო, რა ხდებოდა და გაარკვია, რომ ფიცროი შავებში გამოწყობილ ქალს ესაუბრებოდა. ავტობუსში დაბრუნებულ ფიცროის კომენტარი არ გაუკეთებია, მხოლოდ გაიღიმა და თბილისისკენ დავიძარით“* (ჩარკვიანი 2016, გვ.469-470).

საქართველოში ყოფნისას გელა ჩარკვიანმა სტუმრები ასევე წაიყვანა ლიკანში, რომანოვების ყოფილ რეზიდენციაში და როგორც ისხსენებს ეს განსაკუთრებით ემოციური იყო ალექსანდრა ჰამილტონისათვის, როგორც რომანოვთა შთამომავლისათვის (ჩარკვიანი, 2016, გვ. 293).

1995 წელი ქართულ-ბრიტანული ურთიერთობების დაახლოებისათვის მნიშვნელოვანი გამოდგა. ამავე წლის თებერვალში, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტით იყო დიდ ბრიტანეთში. ამ დროს ის შეხვდა დედოფალ ელისაბედ II-ს, პრემიერ მინისტრ ჯონ მეიჯორს, სახელმწიფო მინისტრ დუგლას ჰერდს, ბრიტანეთის მეწარმეთა კონფედერაციის პრეზიდენტ ლორდ ფეირფოქს, ფიცროი მაკლეინს და სხვ. ასევე იმყოფებოდა ინგლისის ეროვნულ ბანკში და საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტში (Chatham House). აქ მისვლისას მას აფხაზების დაცვის მოტივით ერთგვარი აქციაც მოუწყვეს, როგორც გელა ჩარკვიანი იხსენებს: *„ჩეთემ ჰაუსთან“, ორმოცამდე კაცი იდგა ანტიქართული პლაკატებით. ზოგი კავკასიელს ჰგავდა, ზოგს ნამდვილად „ქოქნის“ (ბრიტანელი-გ.ბ.) გარეგნობა ჰქონდა, ალბათ დაიქირავეს“* (ჩარკვიანი, 2016, გვ. 194). აღსანიშნავია, რომ ეს არ ყოფილა საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტში პირველი ანტიქართული გამოსვლა. მსგავსი ობსტრუქცია მოხდა 1992 წლის 23 ნოემბერს, როდესაც იქ სიტყვით გამოდიოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ალექსანდრე ჩიკვაიძე. მაშინ მომიტინგეებთან ერთად გამოსვლის დროს საკმაოდ პროვოკაციული შეკითხვებით გამოირჩეოდნენ ცნობილი ბრიტანელი კავკასიოლოგი ბრაიან ჯორჯ ჰიუითი და ასევე ანტიქართულად განწყობილი ბრიტანელი პოლიტიკოსი ლორდი დევიდ ენალსი. (ახალგაზრდა ივერიელი, 1992, გვ. 3).

საერთო ჯამში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტმა ბრიტანეთში წარმატებულად ჩაიარა: *„აღსანიშნავია დეკლარაცია, სადაც დაფიქსირებულია ქართველი და ბრიტანელი ხალხების სწრაფვა მეგობრობისაკენ. მხარეები ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას საზღვრების ურყევობის პრინციპისადმი. დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ მონაწილეები მხარს უჭერენ ყოველგვარი კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას“* (ჯორჯიან ტაიმსი, 1995, გვ. 1-2). ვიზიტის მთავარი თემა მაინც საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანული ნავთობის გატარების საკითხი იყო, რომლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით „ბრითიშ პეტროლიუმთან“ აწარმოებდა ქართული მხარე მოლაპარაკებას (რეზონანსი, 1995, გვ. 1).

ფიცროი მაკლეინისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრას იგონებს გელა ჩარკვიანი, აღნიშნული ვიზიტის დროს ედუარდ შევარდნაძისა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ჯონ მეიჯორის შეხვედრის დროს გამართულ ლანჩს: *„ჩემი უფროსი მეგობარი, სერ ფიცროი მაკლეინი ესწრებოდა. სწორედ მისი ბიოგრაფია და თვისებები გამოიყენა იენ ფლემინგმა თავისი უკვდავი გმირის, ჯეიმზ ბონდის შესაქმნელად. ახლა ფიცროი ორი ჯოხის დახმარებით დადიოდა. შემომჩივლა, ეს ართრიტი იმის გამო მაქვს, ახალგაზრდობაში პარაშუტით რომ ვხტებოდიო. ეს მაშინ ხდებოდა, როცა მის მიერვე შექმნილი SAS – Special Air Service ჩრდილოეთ აფრიკაში იბრძოდა ფელდმარშალ ერვინ რომელის წინააღმდეგ, შემდეგ კი იოსიპ ბროზ ტიტოს პარტიზანებს უწევდა დახმარებას და შედეგად იუგოსლავია საბჭოთა გავლენას ჩამოაცილა. იყო სამხედრო მინისტრის მოადგილე, პარლამენტის წევრი, კარგი მწერალი და ძალიან უყვარდა საქართველო. მე მასთან ნათესაური გრძნობა მაკავშირებდა, ჩემს ბიძად აღიქვამდი. შევპირდი, რომ საღამოს სასტუმროში შევარდნაძეს შევახვედრებდი და ასეც ვქენი“* (ჩარკვიანი, 2016, 1,გვ. 93-194).

1995 წლის ნოემბერში, სერ ფიცროი მაკლეინი უკანასკნელად იყო საქართველოში. 13 ნოემბერს იგი დიდი ბრიტანეთს ელჩ სტივ ნეშთან ერთად შეხვდა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს: *„ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში სტივენ ნეში, რომელსაც თან ახლდა ინგლისში საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება, მწერალი, დიპლომატი და სამხედრო პირი, საქართველოს დიდი მეგობარი, არაერთი წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი, კავკასიის, კერძოდ საქართველოს შესახებ - ფიცროი მაკლეინი. სტუმრებმა მიულოცეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება და იმედი*

გამოთქვეს, რომ ახლო მომავალში საქართველო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახდება, რადგან მის სათავეში არის მსოფლიო მასშტაბის ისეთი ფიგურა, როგორიცაა ედუარდ შევარდნაძე. ფიცროი მაკლეი მაკლეინმა აღნიშნა, რომ გიგი ახალ წიგნს წერს საქართველოზე. მასში აისახება ამ ქვეყნის პრობლემები და წინგადადგმული ნაბიჯები" (საქართველოს რესპუბლიკა, 1995, გვ. 1)

ედუარდ შევარდნაძემ და სტუმრებმა ისაუბრეს მსოფლიოსა და საქართველოს აქტუალურ პრობლემებზე, განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ტერორიზმის საკითხი, რომელიც, მათი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით უნდა გადაიჭრას (საქართველოს რესპუბლიკა, 1995, გვ. 1).

1996 წლის 15 ივნისს მეგობრის სახლში აუზში ცურვის დროს გარდაიცვალა საქართველოს დიდი მეგობარი, სერ ფიცროი მაკლეინი. როგორც გელა ჩარკვიანი იხსენებს: *„18-ში შუადღე იქნებოდა, როცა ლონდონიდან პიტერ ნეისმითმა დამირეკა, - ცუდი ამბავი უნდა შეგატყობინო, ფიცროი მაკლეინი გარდაიცვალაო. ჩემდა უნებურად წამომცდა, არ მეგონა, ეს თუ როდისმე მოხდებოდა მეთქი. მართლაც ფიცროი ჩემს წარმოდგენაში მთა იყო, რომელიც სადღაც შოტლანდიაში დგას და მუდამ იდგება ნისლში გახვეული; თუმცა ზოგჯერ ადამიანად განსახიერდება და ეწვევა საქართველოს, რომელიც პირველივე შეხედვით შეიყვარა, რაც ასე ცხადად იგრძნობა მის დღეისათვის კლასიკად ქცეულ წიგნში. მერე ინგლისის საელჩომ გამომიგზავნა The Times-ში გამოქვეყნებული ნეკროლოგი. ფაქსის აპარატიდან ნელა მოვიდა შუბლი, მერე კეხიანი ცხვირი, უცნაური განცდა მქონდა, მაღალი ტექნოლოგიები გროტესკულად შეუსაბამოა ისეთ ძველ, კონსერვატიულ ცნებასთან, როგორიც სიკვდილია"*(ჩარკვიანი, 2016, გვ. 283-284).

აქვე აღნიშნავს, რომ ფიცროი მაკლიენის გარდაცვალების შესახებ ნეკროლოგი ყველა ბრიტანულმა გაზეთმა გამოაქვეყნა. ყოველ მათგანში აღინიშნებოდა, რომ ფლემინგმა სწორედ მისი პიროვნული თვისებები და განვლილი გზა გამოიყენა აგენტ 007-ის სახის შესაქმნელად. ერთმა ნეკროლოგი კი ასე დაასათაურა: *„ნამდვილი ჯეიმზ ბონდი გარდაიცვალა დღეს"* (Independent, 1995, გვ. 15).

გელა ჩარკვიანმა დაწერა სამძიმრის წერილი, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სახელით ფიცროის მეუღლის, ვერონიკა ფრეიზერისათვის, რომელიც ასე დაასრულა: *„ქართველ ხალხი მადლიერებით გაიხსენებს ლამაზ და ამაყ შოტლანდიელს, რომელიც მათ სამშობლოს უანგარო სიყვარულით ასაჩუქრებდა"* (ჩარკვიანი, 2016, გვ. 283-284) ასევე შეადგინა ნეკროლოგი და გაუგზავნა არჩილ გოგელიას ტელევიზიით წასაკითხად" (ჩარკვიანი, 2016, გვ. 283-284).

საქართველოს საელჩომ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში მიაგო პატივი ფიცროი მაკლეინის ხსოვნას და გაატარა შესაბამისი ღონისძიებები. ელჩმა თეიმურაზ მამაცაშვილმა ფიცროი მაკლეინის ოჯახს გაუგზავნა სამძიმრის წერილი ქართველი ხალხის სახელით: *„ეს არის არა მხოლოდ შესანიშნავი ადამიანისა და დიდი პიროვნების, არამედ სრულიად ქართველი ერის დანაკარგი. ის ყურადღება და მზრუნველობა, რომელიც სერ ფიცრომ გამოიჩინა წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მიმართ, არასოდეს დავივიწყებთ და მისი გარდაცვალება სამწუხაროა საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის"* (სუიცა. ფონდი N 1206, აღწერა N6, საქმე N 56. ფურც. 4). ვერონიკა მაკლეინმა სამადლობელი წერილი გამოუგზავნა საქართველოს ელჩს: *„უდიდესი მადლობა თქვენს მიერ გამოთქმული თბილი სამძიმრისთვის ჩემი მეუღლის გარდაცვალების. ქართველი მეგობრების მიერ გამოთქმული თანაგრძნობა განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის და მთელი მისი ოჯახისათვის. მას ისე უყვარდა საქართველო და ისე მოუთმენლად*

ელოდა შემოდგომაზე საქართველოში კიდევ ერთხელ ჩასვლას, ჩემთან ერთად. საბედნიეროდ, მას ბევრი არ უწვალია და ამ ქვეყნიდან უეცარი სიკვდილის შედეგად. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა. 25 სექტემბერს 12 საათზე, ლონდონის წმ. გიორგის ეკლესიაში (Hanover Square) ჩატარდება წირვა ფიცროი მაკლეინის საპატივცემულოდ. ფრიად მოხარული ვიქნები ამ დღეს ჩემი მეუღლის აქაური ქართველი მეგობრების ნახვისა. დიდი პატივისცემით ვერონიკა მაკლეინი“ (სუიცა. ფონდი N 1206, აღწერა N6, საქმე N 56. ფურცელი 5-6.)

ელჩმა თეიმურაზ მამაცაშვილმა აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ანგარიში ჩააბარა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს (სუიცა. ფონდი N 1206, აღწერა N6, საქმე N 56. ფურცელი 1).

დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში განვიხილეთ ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, სერ ფიცროი მაკლეინის, მრავალფეროვანი ცხოვრების ერთ-ერთი საინტერესო მხარე - მისი განსაკუთრებული ურთიერთობა საქართველოსთან; ფიცროი მაკლეინი, როგორც საქართველოს ისტორიის პოპულარიზატორი და ჩვენი ქვეყნის მეგობარი. აღსანიშნავია, რომ მან პირველად საქართველო მოინახულა XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც სტალინური რეპრესიების ეპოქაში დასავლურ საზოგადოებას ნაკლები ინფორმაცია ჰქონდა ჩვენი ქვეყნის შესახებ. დაგვიტოვა საინტერესო დაკვირვებები არსებული მდგომარეობის შესახებ. ფიცროი მაკლეინმა თავის წიგნებსა და სტატიებში ბრიტანულ საზოგადოებას გააცნო საქართველო და ქართველი ხალხი, მისი ისტორიული წარსული და აწმყო. ფაქტობრივად, ავტორი ექვსი ათწლეულის განმავლობაში, თითქმის ყველა დეკადაში სტუმრობდა საქართველოს. შემოგვინახა ფოტო მასალა და საინტერესო აღწერები, როგორც ისტორიული ძეგლების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა წევრებისა.

ფიცრო მაკლეინი ფიქრობდა საქართველოს მომავალზე. მისთვის დამოუკიდებელი საქართველო კავკასიის ცენტრი და ქრისტიანული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო, მონარქიული ხელისუფლებით (Mclyn, 1992,გვ. 352). საქართველოსადმი გადაჭარბებული სიყვარულის გამო მას აკრიტიკებდა ცნობილი ფრანგი კავკასიოლოგი, რობერტ შენსინერი, რომელიც უფრო ჩრდილოეთ კავკასიასა და ისლამზე იყო ორიენტირებული (Mclyn, 1992, გვ. 352).

ფიცრო მაკლეინის საქართველოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, აღნიშნულია ასევე მისი გარდაცვალების შესახებ გაზეთ The Times-ში გამოქვეყნებულ ნეკროლოგშიც: *„მთელი ცივი ომის განმავლობაში ის რეგულარულად ბრუნდებოდა სსრკ-ში, სადაც ინარჩუნებდა მჭიდრო კონტაქტებს და სადაც მას შეეძლო ისეთი ადგილების მონახულება, რომელიც დასავლეთში მცხოვრებთა უმრავლესობას არასოდეს უნახავს. მისი საყვარელი ადგილი იყო საქართველო“*(Times, 1996, გვ. 21).

საინტერესოა, მისი ბიოგრაფის ფრენკ მაკლინის შენიშვნაში, რომ *„ფიცროი მაკლეინის რუსული (საბჭოთა-გ.ბ) მოგზაურობები ოთხ ნაწილად იყოფა: 1. მოგზაურობა ფილმების გადასაღებად ან წიგნის მასალებისათვის. 2. უფრო იშვიათად მოგზაურობა მისთვის უცხო ადგილების აღმოსაჩენად. 3. ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ სსრ კავშირში ვითარების შესწავლად. 4. ნამდვილი და ყველაზე ბედნიერი მოგზაურობა, როდესაც ის მიდიოდა მის საყვარელ საქართველოში“* (Mclyn, 1992, გვ. 350).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიცროის, როგორც შოტლანდიელს, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მთიელი ხალხის მიმართ. საქართველო მისთვის მთებითაც გამორჩეული იყო: *„ფიცროი თანამემამულეებს ურჩევდა, რომ SAS-ის წვრთნები ჩაეტარებინათ საქართველოს მთებში“* (Mclyn, 1992, გვ. 359).

ცნობილია, რომ ფიცროი მაკლეინი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს იყო ბალკანეთში, იოსიპ ბროზ ტიტოსთან და მის პარტიზანებთან. ხოლო XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იუგოსლავიური კონფლიქტების გამწვავების შემდეგ მეუღლესთან ერთად იქ გადასახლდა, ხორვატიაში კუნძულ კორჩულაზე და ასევე ეხმარებოდა კონფლიქტით დაზარალებულებს. მისი ბიოგრაფის კითხვაზე, მთები ხომ მონტენეგროშიც არის? მაშინ რატომ გიყვართ ქართველები განსაკუთრებით? უპასუხა, რომ *„ქართველები მგრძნობიარე, რომანტიკული და ნოსტალგიურია ხალხია, დაკავშირებული ტრადიციულ წესრიგთან და იერარქიასთან“* (Mclyn, 1992, გვ. 350).

სწორედ ფიცროი მაკლეინის მშფოთვარე და მრავალფეროვანი ცხოვრება გახდა იენ ფლემინგის წყარო, ჯეიმს ბონდის უკვდავი სახის შესაქმნელად. ფიცროი მაკლეინი ფლობდა ჯეიმს ბონდის სერიის ყველა გამოცემას, რომელიც მოგვიანებით აუქციონზეც გაიყიდა (https://www.lyonandturnbull.com/auctions/rare).

საინტერესოა, რომ ფიცროის საყვარელი სასმელიც იყო არაყი, როგორც ჯეიმს ბონდის. აღსანიშნავია, რომ ჯეიმს ბონდზე შექმნილ ერთ-ერთ ფილმში “The Living Daylights” (ნაპერწკლები თვალებიდან“), ჯეიმს ბონდის პარტნიორის როლს ასრულებს ქართველი გენერლის, გიორგი კვინიტაძის შვილიშვილი, მარიამ დ’ აბო (https://www.007.com/maryam-dabo-on-the-living-daylights).

ფიცროი მალეინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ სხვადასხვა მკვლევრები ცდილობენ გაყვნენ მის მიერ განვლილ გზას და კონცეფციებს თანამედროვეობასთან მიმართებით. ამ მხრივ საინტერესოა ბრიტანელი მკვლევრის, ჯეიმს კიტსონის, პუბლიკაცია “Exploring Stabilisation in Eurasia – A Fitzroy Maclean Approach”. ავტორი, ფიცროი მაკლეინის მსგავსად, სამხედრო და სამოქალაქო სფეროებს უთავსებს ერთმანეთს. მან გაიარა ფიცრო მაკლეინის გზა. იმოგზაურა და გაეცნო ეთნოკონფლიქტებს: კავკასიაში, შუა აზიაში, ასევე იმოგზაურა ავღანეთსა და ჩინეთში. განიხილავს მაკლეინის მოღვაწეობას, მათ შორის საქართველოსთან დამოკიდებულებას. პარალელურად წარმოაჩენს ეთნოკონფლიქტების მოგვარების საკუთარ ხედვებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ჩარკვიანი, გ. (2015). ნაგერალა. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

ჩარკვიანი, გ. (2016). ნაცნობ ქიმერათა ფერხული . თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

Maclean, F. (1949). *Eastern Approaches. London: Pulishing House "Jonathan Cape Thirty Bedford Square".*

Maclean, F. (1976). To Caucasus: The End of all the Earth. Boston-Toronto: *Pulishing House* "Little Brown and Company".

Maclean, V. (2002). *Past Forgetting: A Memoir oF Heores, Adventure, Love and Life With Fitzroy Maclean. London: Pulishing House "Review".*

Mclyn, F. (1992). *Fitzroy Maclean. London: Pulishing House "John Murray".*

პერიოდული პრესა

გაზეთი. *„ახალგაზრდა ივერიელი“*.(1992) #79.თბილისი.

გაზეთი. „რეზონანსი“. (1995)#17. თბილისი.

გაზეთი. *„საქართველოს რესპუბლიკა“*.(1995) #169. თბილისი.

გაზეთი. *„ჯორჯიან ტაიმსი“.* (1995) #7. თბილისი.

გაზეთი. "*Birmingham Mail".* (1952, October 4th)

გაზეთი. *"The Times"* . (1996. June 18th)

გაზეთი. "*Independent".* (1996, June 19th)

საარქივო მასალები

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი N 1206, აღწერა N6, საქმე N 56. ფურც. 4).

სუიცა: ფონდი N 1206, აღწერა N6, საქმე N 56. ფურცელი 5-6.

სუიცა. ფონდი N 1206, აღწერა N6, საქმე N 56. ფურცელი 1.

ელექტრონული რესურსები

Dooley, J.K. The Notherrn Department of the British Foreign Office and the Soviet Union, 1939-1942. Submitted in accordance with the requirements for the degree of Doctor of Philosophy. Universitity of Leeds. School of History, september 2014. https://etheses.whiterose.ac.uk/id/eprint/7360/ (04.08.2025)

Kitson, J. Exploring Stabilisation in Eurasia – A Fitzroy Maclean Approach. 2011. https://media.churchillfellowship.org/documents/Kitson_J_Report_2011_Final.pdf . 04.08.2025)

http://www.bewc.org/en/history_en.php (04.082025)

https://www.lyonandturnbull.com/auctions/rare-books-maps-manuscripts-and-photogra-220/lot/117?srsltid=AfmBOoo73z6kdPRmK-ypvEinuhe_3w_VFGPq3br5Oy4l0vXZkbfWbtjQ (04.08.2025)

https://www.007.com/maryam-dabo-on-the-living-daylights/ (ბ04.08.2025)

REFERENCES

Ch'ark'v'ian'I, g. (2015). *N'ag'era'la*. [Nagerala] Tbilisi: Pulishing House: "Intelekti".

Ch'ark'v'ian'I, g. (2016). *N'a'ts'nob q'imera'ta f'erkh'ul'i.* [The Footprints of a familian chimeras.] Tbilisi: Pulishing House: "Intelekti".

Maclean, F. (1949). *Eastern Approaches. London: Pulishing House "Jonathan Cape Thirty Bedford Square".*

Maclean, F. (1976). To Caucasus: The End of all the Earth. Boston-Toronto: *Pulishing House* "Little Brown and Company".

Maclean, V. (2002). *Past Forgetting: A Memoir oF Heores, Adventure, Love and Life With Fitzroy Maclean. London: Pulishing House "Review".*

Mclyn, F. (1992). *Fitzroy Maclean. London: Pulishing House "John Murray".*

Periodical press

gazeti. „*akh'a'lgazrd'a i'verie'li"* .(1992) #79. [Newspaper "Akhalgazrda Iverieli" .(1992) #79] Tbilisi.

gazeti. „re'z'onan's'i". (1995) # 17. [Newspaper "Rezonansi", (1995) # 17] Tbilisi.

gazeti. "sa'q'artvel'o's re'spubli'k'a". (1995) # 17. [Newspaper "Sakartvelos Respublika", (1995) #169] Tbilisi.

gazeti. "jo'r'j'ia'n t'aim's'i. (1995) # 7. [Newspaper "Georgian Times", (1995) # 7] Tbilisi.

Newspaper. "*Birmingham Mail"*. (1952, October 4*th*)

Newspaper. *"The Times"* . (1996. June 18*th*)

Newspaper. "*Independent".* (1996, June 19*th*)

Archival Materials

Sa'qart'v'elos ua'kh'les'i is't'or'ii's c'ent'ral'uri ar'q'i'vi. (fund 1206, description 6, case 56, paper 4.)

Suica: (fund 1206, description 6, case 56, paper 5-6.)

Suica: (fund 1206, description 6, case 56, paper 1.)

Electronic Materials

Dooley, J.K. The Notherrn Department of the British Foreign Office and the Soviet Union, 1939-1942. Submitted in accordance with the requirements for the degree of Doctor of Philosophy. Universitity of Leeds. School of History, september 2014. https://etheses.whiterose.ac.uk/id/eprint/7360/ (04.08.2025)

Kitson, J. Exploring Stabilisation in Eurasia – A Fitzroy Maclean Approach. 2011. https://media.churchillfellowship.org/documents/Kitson_J_Report_2011_Final.pdf . 04.08.2025)

http://www.bewc.org/en/history_en.php (04.082025)

https://www.lyonandturnbull.com/auctions/rare-books-maps-manuscripts-and-photogra-220/lot/117?srsltid=AfmBOoo73z6kdPRmK-ypvEinuhe_3w_VFGPq3br5Oy4l0vXZkbfWbtjQ (04.08.2025)

https://www.007.com/maryam-dabo-on-the-living-daylights/ (04.08.2025)